პროქტოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი თეიმურაზ აბულაძე

დეპარტამენტის ხელმძღვანელი

1967 წელს ქ. თბილისის N7 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე გაიხსნა ამიერკავკასიაში პირველი პროქტოლოგიური სტაციონარი, რომელიც ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ახლად დაარსებული პროქტოლოგიის კურსის კლინიკურ ბაზას წარმოადგენდა. იმ დროისათვის აბდომინური ქირურგიის კათედრის გამგე პროფ. დავით მამამთავრიშვილი იყო, ხოლო ამ კათედრასთან ინტეგრირებული პროქტოლოგიის კურსის ხელმძღვანელად არჩეული იქნა პროფ. რევაზ იაშვილი.

მედიცინის ამ დარგის სწრაფმა განვითარებამ და კოლოპროქტოლოგიურ დაავადებათა სიმრავლემ განაპირობა პროქტოლოგიის კურსის ჯერ დამოუკიდებელ სამეცნიერო-პედაგოგიურ სტრუქტურად გარდაქმნა, ხოლო 1981 წლიდან - ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პროქტოლოგიის კათედრად ჩამოყალიბება.

1997 წლიდან, პროფ. რევაზ იაშვილის გარდაცვალების შემდეგ, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პროქტოლოგიის კათედრას სათავეში ჩაუდგა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ აბულაძე. 2006 წელს პროქტოლოგიის კათედრა მიმართულების სახით შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის N.1 დეპარტამენტის შემადგენლობაში, რომლის სრულ პროფესორად

თეიმურაზ აბულაძე აირჩიეს. 2015 წლიდან პროქტოლოგიის მიმართულებას პროქტოლოგიის დეპარტამენტი ეწოდება.

ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პროქტოლოგიის კურსი და შემდგომ კათედრა ემსახურებოდა, ძირითადად, პოსტდიპლომური განათლების სისტემას. ამჟამად თსსუ-ის პროქტოლოგიის დეპარტამენტი აქტიურადაა ჩართული დიპლომამდელ სასწავლო პროგრამაშიც ელექტიური არჩევითი კურსით "პროქტოლოგია" მედიცინის ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტებთან; ახორციელებს სარეზიდენტო პროგრამას კოლოპროქტოლოგიაში, ასევე მოკლევადიან ექვსთვიან პროგრამას "პროქტოლოგია"; აგრეთვე, პროფესიული რეაბილიტაციის (6 პროგრამა) და ტრეინინგული სწავლების პროგრამებს (3 მოკლევადიანი პროგრამა) პროქტოლოგების, ქირურგების და გასტროენტეროლოგებისთვის.

პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამებია: "მსხვილი ნაწლავის ანთებით-დისტროფიული დაავადებები და ფუნქციური მოშლილობები", "კოლოპროქტოლოგია", "მსხვილი ნაწლავის მწვავე პათოლოგიის გადაუდებელი დახმარება", "შორისის და სწორი ნაწლავის შერწყმული დაავადებები", "არასიმსივნური პროქტოლოგიური დაავადებები", "კოლორექტული პათოლოგიის სკრინინგის პრინციპები", მსხვილი ნაწლავის ფუნქციური კოლოპათიები".

საქართველოში, როგორც მთელ მსოფლიოში, შეიმჩნევა კოლორექტული დაავადებების, ანომალიების, სიმახინჯეების მკვეთრი ზრდა, განსაკუთრებით კი, ონკოპათოლოგიების დინამიური მატება.

დეპარტამენტის კლინიკური მუშაობა ორიენტირებულია: მსხვილი ნაწლავის პათოლოგიის ადრეულ გამოვლენაზე, ანორექტუმზე მცირეინვაზიური მეთოდების გამოყენებაზე, ჩვენებებისა და წარმოების დახვეწაზე, სტომათერაპიის (კოლოსტომირებული პაციენტების) პრინციპების უნიფიცირებაზე. დანერგილია და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის მოდიფიცირებული სფინქტეროდამზოგველი პლასტიკური ოპერაციები ანალურ სფინქტერზე - რექტოცელეს, ჰემოროის, სტრიქტურების დროს, თანამედროვე სინთეტიკური ექსპლანტატების გამოყენება საშო–სწორი ნაწლავის დეფექტების და მაღალი სკროტალური ფისტულების დროს (მიღებულია საავტორო უფლება). აღდგენით–რეკონსტრუქციული ოპერაციები ძირითადად რეგიონული ანესთეზიისა და ოპერაციისშემდგომი ანალგეზიის პირობებში ხორციელდება რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპების დაცვით.

კლინიკა ახორციელებს კომბინირებულ და კონსერვატულ ღონისძიებებს ნაწლავთა დისპეფსიების, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის, ყაბზობის, ატონიის, დისბაქტერიოზის, დისფუნქციური მოვლენების თერაპიაში.